პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 257 (12465) | ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 23 ოქტომბერს

ამხანაგებო! ჩვენი პლენუმი მიმდინარეობს ღირსშესანიშნავი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავის წინ. ამავე დროს ჩვენ აღვნიშნავთ მეორე დიდმნიშვნელოვან თარიღსაც — განვლო ერთმა წელმა სკკპ ისტორიული XXII ყრილობის შემდეგ, რომელზეც პარტიამ გამოაცხადა თავისი ახალი პროგრამა — თვალსაჩინო რევოლუციური დოკუმენტი, რომელიც აშუქებს ჩვენი დროის ყველაზე მთავარ და მწვავე პრობლემებს, სახავს სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების კონკრეტულ გზებს, საშუალებებსა და მეთოდებს.

პარტიის ახალმა პროგრამამ წინ წასწია მარქსისტულ-ლენინური თეორია. კომუნისტური მოძრაობა გადაიქცა თანამედროვეობის ყველაზე მძლავრ ძალად. დღეს ერთ მილიარდზე მეტი კაცი აშენებს სოციალიზმსა და კომუნიზმს. საბრძოლველად აღდგნენ აზიისა და აფრიკის ხალხთა მასები, რომლებმაც კოლონიალიზმის ბორკილი მოიშორეს. იმპერიალიზმი კი არა, სოციალიზმი განსაზღვრავს ახლა მსოფლიო განვითარების მთავარ მიმართულებას.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილი წელი დამაჯერებლად მოწმობს, რომ პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა — ორი ათწლეულის განმავლობაში შექმნან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — წარმატებით ხორციელდება.

კომუნიზმი ავითარებს ისეთ ტემპს, როგორიც არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. დამთავრდა შვიდწლედის პირველი ნახევარი. სამწელიწადნახევარში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები ხუთი პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

აშენდა 3.200-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო. მწყობრში ჩადგა ელექტროსადგურები, რომლებიც სიმძლავრით გოელროს თხუთმეტ გეგმას უდრის და ერთიორად აღემატება საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურების ყველა არსებულ სიმძლავრეს ომის წინ 1941 წელს. მარტო 1962 წელს ამუშავდა თუჯის წარმოების სიმძლავრეები ოთხჯერ მეტი, ნავთობის პირველადი გადამუშავების სიმძლავრეები — ექვსჯერ მეტი და ელექტროსადგურებისა — ოთხჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

მძლავრ ექოდ გაისმა მთელ დედამიწაზე რაკეტული ძრავების გუგუნი, რომლებმაც კოსმოსური ორბიტაზე აიყვანეს საბჭოთა ხალხის ორი შესანიშნავი შვილი კომუნისტები ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი. საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფური გაფრენა მთელ მსოფლიოს მიაჩნია ადამიანის გონებისა და მეცნიერული პროგრესის ახალ დიდ გამარჯვებად.

ამერიკის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კოსმოსში საბჭოთა მიღწევების გასწრებას, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ასრულებს რა XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე განახორციელა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის რეორგანიზაცია, რამაც უკვე მოიტანა საგრძნობი შედეგები. ოლქები და მხარეები ზედიზედ უპატაკებენ პარტიასა და ხალხს, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები.

წარმატებით წყდება სკკპ პროგრამაში დასახული მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — უზრუნველყოთ სსრ კავშირში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით.

პარტიის XXII ყრილობის წლისთავისათვის საბჭოთა კავშირმა და ყველა სხვა სოციალისტურმა ქვეყანამ კიდევ უფრო განამტკიცეს საერთაშორისო პოზიციები. მთელ თავიანთ განუწყვეტლივ მზარდ საერთაშორისო ავტორიტეტსა და მთელ თავიანთ ძლიერებას საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები იყენებენ მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის საქმის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის მომძლე ხალხთა ერთსულოვან ოჯახში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა საქართველოსაც. მრეწველობის პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა რესპუბლიკის მუშათა კლასმა გადაჭარბებით შეასრულა. სამშობლომ დამატებით მიიღო ბევრი ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, ჩარხები, ცემენტი, ჩაი, ღვინო, შაქარი და სხვა პროდუქცია.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილი პირველი წელი ჩვენს რესპუბლიკაში იყო დიდ ახალშენებათა წელი. დიდი გამარჯვებაა ლისწინებდა კოსმოსში საბჭოთა მიღწევებს ტავროპოლ-თბილისის გაზსადენის შშენებლობა, რაც განსაკუთრებით ძნელ პირობებში ხორციელდება.

გაიშალა სამუშაოები ქართველი ხალხის დიდ მშენებლობაზე — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. ტექნიკური გადაწყვეტით ეს უნიკალური ჰიდროელექტროსადგური ჩვენს რესპუბლიკას მისცემს მეტ ენერგიას, ვიდრე საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგური. მთავრდება თბილისის დიდი თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ბუნებრივი გაზით იმუშავებს, და რუსთავის თბოელექტროცენტრალის რეკონსტრუქცია.

როცა ეს ელექტროსადგურები მწყობრში ჩადგება და ამუშავდება ხრამჰესი-2, ჩვენი რესპუბლიკა არა მარტო აღმოფხვრის ელექტროენერგიის ამჟამად არსებულ დეფიციტს, არამედ უზრუნველყოფს მანქანათსაშენებლო, ელექტროტექნიკური, ქიმიური და ინდუსტრიის სხვა დარგების ბევრი ახალი საწარმოს მუშაობასაც.

კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რომლებიც ნამდვილ შრომითს გმირობას იჩენენ, დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს. ჩვენ სიამაყით მოვახსენეთ შმობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის შვიდწლიანი გეგმა რესპუბლიკამ ვადაზე სამი წლით ადრე შეასრულა. 15 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 170,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 155 ათასი ტონის ნაცვლად. ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი გამარჯვებაა. იგი მოწმობს, რომ ვალდებულება — მიეცათ სამშობლოსათვის 1965 წელს — შვიდწლედის უკანასკნელ წელს — 200 ათასი ტონა ჩაი — განხორციელდება.

ვადაზე ადრე შეასრულეს წლიური გეგმა და შვიდწლედის მეოთხე წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა. ჩაის ფოთლის კრეფაში დიდ წარმატებას მიაღწიეს მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ცხაკაიას, სოხუმისა და სხვა საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, მძიმე კლიმატური პირობების მიუხედავად, შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა და ვალდებულება.

უნდა აღინიშნოს კარგად აწყობილი და ორგანიზებული მუშაობა ჩაის მრეწველობის მუშაკებისა, რომლებმაც დაუბრკოლებლად მიიღეს ასეთი დიდი რაოდენობით ჩაის ფოთოლი, გადაამუშავეს და გამოუშვეს მაღალი ხარისხის ჩაი.

თავდადებული შრომის შედეგად მევენახეებმა უზრუნველ ყ ვ ე ს ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანა. გურჯაანისა და სიღნაღის საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჯერ კიდევ 5 ოქტომბერს შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. ყველა საფუძველი გვაქვს, ვთქვათ, რომ, მეჩაიეთა მაგალითისამებრ, აგრეთვე პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს რესპუბლიკის მევენახეებიც, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მისცემენ სულ ცოტა 200 ათას ტონა ყურძენს.

მომდინარე წელს ყურძნის გადასამუშავებელი საწარმოების მუშაკებმა კარგად შეასრულეს მოსავლის ესოდენ დიდი რაოდენობით მიღების ამოცანა. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ყურძნის წარმოების ყოველწლიური ზრდა და მომავალი წლისათვის გაადიდოს ყურძნის მისაღები და გადასამუშავებელი არსებული ქარხნების სიმძლავრე და ახალი ქარხნების მშენებლობა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები ითვალისწინებენ ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის რჩევას და აფართოებენ დაფნის ფოთლის წარმოებას იმ ვარაუდით, რომ სავსებით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი ამ ძვირფას პროდუქტზე. რესპუბლიკამ წელს სამშობლოს მისცა 1.286 ტონა ფოთოლი, ანუ ერთისამად მეტი, ვიდრე ჩაბარდა 1953 წელს.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებასა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უკანასკნელ წლებში მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1953 წლის 328 მილიონი მანეთიდან გადიდდა 646 მილიონ მანეთამდე 1961 წელს.

მწვანე ჩაის ფოთლის წარმოება 63 ათასი ტონით და მეტად გაიზარდა, ანუ 60 პროცენტით, ციტრუსებისა — 22,3 ათასი ტონით, ანუ ერთიორად და უფრო მეტად, თამბაქოს წარმოება — 3,1 ათასი ტონით. გადიდდა აგრეთვე ყურძნის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოება.

ამავე პერიოდში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა ძროხის სულადობა 20 ათასით, ღორისა — ერთიორად და მეტად, ფრინველისა — თითქმის ერთი მილიონით. რძის წარმოება გადიდდა 88 პროცენტით, ხოლო კვერცხისა — 2,7-ჯერ.

ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საგრძნობლად გაადიდეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქტების მიყიდვის მოცულობა და მკვეთრად აამაღლეს საქონლურობის დონე.

1959-1961 წლებში საზოგადოებრივ მეურნეობებში გაშენდა 11.142 ჰექტარი ვენახი, 12.580 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 438 ჰექტარი ციტრუსები, 893 ჰექტარი დაფნის პლანტაცია.

დიდი მუშაობა შესრულდა კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის. მარტო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1962 წელს

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ასე ფიქრობენ მეჩაიეები...

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიღებამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი ახალი შრომითი აზვირთება გამოიწვია სოფლად, რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს ეამაყებათ თავიანთი პატაკი პარტიისადმი, მთავრობისადმი, სამშობლოსადმი და დღითიდღე ამრავლებენ შრომითს ბარაქას.

ამ განცდათა, ამ შემართების ნათელი გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც საქართველოს სოფლის მშრომელები მომავლის ახალ ზღუდეებს სახავენ და პირობას სდებენ, რომ მათი დაძლევის გზებს უკვე რეალურად ხედავენ და დღევანდელ სიტყვას ხვალ დიდ საქმედ აქცევენ.

ამ წერილში ჩაქსოვილია აზრი და ფიქრი იმ მოწინავე მეჩაიეებისაც, რომლებსაც თქვენ სურათებზე ხედავთ. ესენი ხომ რიგითი წარმომადგენლები არიან მეჩაიეთა იმ დიდი არმიისა, ვინც მუყაითი გარჯით გამოჭედეს დიდი გამარჯვება. აი მათი წვლილიც: ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის წევრმა ჩიტო მართალიშვილმა 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 9 ათასზე მეტი კილოგრამი ჩაი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კოლმეურნეობის წევრები გული, როზა, ალუშა ლაშხები დღეში ორ-სამ ნორმას ასრულებენ, ასევე სახელი მოიხვეჭა მახარაძელმა სულიკო კილაძემ.

ახლაც მოუღლელად შრომობს მათი მარჯვენა ჩაის პლანტაციებში.

სურათებზე: (მარცხნიდან) ჩ. მართალიშვილი, გული, როზა, ალუშა ლაშხები და სულიკო კილაძე.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

ნერუს დეპეშა ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. (საკადესი). ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ დეპეშა გამოუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. დეპეშაში ნათქვამია: „მსურს გაცნობოთ, ბ-ნო თავმჯდომარეო, რომ მხურვალედ ვიწონებთ სიბრძნესა და სიმამაცეს, რაც თქვენ გამოიჩინეთ კუბის გამო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. არ დაგიმალავთ, რომ ინდოეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, უკანასკნელმა ამბებმა დიდი შეშფოთება გამოიწვიეს. დიდ სახელმწიფოებს შორის ყოველ დიდ კონფლიქტს ადვილად შეუძლია მსოფლიო მიიყვანოს კატასტროფამდე, რომლის თავიდან აცილებას, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ცდილობთ. თქვენმა სახელმწიფოებრივმა სიბრძნემ ხელი შეუწყო უშუალო საშიშროების აღმოფხვრას. ჩვენ ვიცით მშვიდობის საქმისადმი თქვენი ერთგულება და ყოველ წარმატებას გისურვებთ შემდგომ ღონისძიებებში, რომლებსაც თქვენ ახორციელებთ“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

სარდარ მუჰამედ ნაიმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 30 ოქტომბერს კრემლში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ ნაიმი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და სარდარ მუჰამედ ნაიმს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც მიმდინარეობდა გულითადი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი ავღანეთში ს. ფ. ანტონოვი, ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაკიმ შაჰალამი. (საკადესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ამხ. ა. ნოვოტნი

29 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი. ა. ნოვოტნისთან ერთად ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გენდრიხი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებს შეხვდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი და სხვები.

კეთილი სურვილები მაღგაშ ხაღხს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და მალგაშის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფილიბერ ცირანანამ დეპეშები გაუცვალეს ერთმანეთს მალგაში ხალხის ეროვნული დღესასწაულის — მალგაშის რესპუბლიკის გამოცხადების დღესთან დაკავშირებით.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მალგაშ ხალხს უსურვა წარმატებანი თავიანთი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე.

ფ. ცირანანამ მადლობა გადაუხადა მისალოცი წერილისათვის და თავის მხრივ საბჭოთა კავშირის ხალხებს უსურვა ბედნიერება და აყვავება. (საკადესი).

ზალზთა მეგობრობის დღესასწაული

მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო თბილისში

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობისა და ძმობის, მათი უძველესი კულტურის ნამდვილი დღესასწაული იყო თბილისში გამართული საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და მოაზროვნის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეიკრიბა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ი. ბ. აბაშიძე, რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის წევრები, საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დავალებით საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. გ. სტურუამ. აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად, მთელ ჩვენ ქვეყანასა და პროგრესულ კაცობრობასთან ერთად, თქვა მან, საბჭოთა საქართველო, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობა აღნიშნავენ სახელოვან იუბილეს — დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და მოაზროვნე ფილოსოფოსის, ხალხთა მეგობრობისა და ერთობის შთაგონებელი მომღერლის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს.

მირზა ფათალი ახუნდოვის იუბილე, რომელსაც აღვნიშნავთ მის მეორე სამშობლოში — საქართველოში — პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის ურყევი ძალის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების იდეურ-სულიერი დაახლოებისა და ძმობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლენაა.

სიტყვა მოხსენებისათვის მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ეძლევა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს, კრიტიკოს ბ. ულენტს.

გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი აზერბაიჯანის სახალხო პოეტის რასულ რზას გამოსვლას. აზერბაიჯანელი ხალხის სახელით იგი გულითადად მიესალმა შეკრებილთ და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს.

სიტყვას ამბობს ცნობილი სომეხი მწერალი მკრტიჩ არმენი. ყოველთვის, თქვა მან, როცა აღვნიშნავთ ამიერკავკასიის ხალხების რომელიმე დიდი შვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ თარიღს, ჩვენ ჭეშმარიტი სიხარულით ხაზს ვუსვამთ ამ ცხოვრების, ამ მოღვაწეობის ერთობრივ ხასიათს. ასეთი განსაზღვრა მთლიანად მიეკუთვნება მირზა ფათალი ახუნდოვსაც.

— საქართველოს მწერლები, თქვა პოეტმა გ. აბაშიძემ, პატივს სცემენ მირზა ფათალი ახუნდოვის ხსოვნას იმისგან, როგორც თავიანთი მშობლიური ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსების ხსოვნას. ორატორმა წაიკითხა ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

თ. ლაშქარაშვილმა შეკრებილთა ტაშის გრიალში განაცხადა, რომ რესპუბლიკის მთავრობის გადწყვეტილებით ქალაქ თბილისის 78-ე საშუალო სკოლას მიეკუთვნა მირზა ფათალი ახუნდოვის სახელი.

ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ლ. ერაძემ შეკრებილთ წაუკითხა ახუნდოვის ლექსების საკუთარი თარგმანი.

ჩვენი საღამო გადაიქცა ამიერკავკასიის ხალხების, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ხალხების მეგობრობის აღმფრთოვანებელ დღესასწაულად. მიმართა შეკრებილთ ამხ. დ. გ. სტურუამ. დიდება ამ დიად ურღვევ მეგობრობას, რომელიც გამოაწრთო ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ! გაისმის ხანგრძლივი ტაში.

საზეიმო ნაწილის შემდეგ საიუბილეო საღამოს მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატებმა.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, ბ. დ. ჯაფარიძეები, ბ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოკანოვი, გ. ა. გეგეშიძე, ვ. მ. სირაძე, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუნიძე, შ. ი. ბანუშვაძე, ო. ე. ჩერქეზიანი.** (საკადესი).

დიდი ხელოვანის აკვანთან

ყვარელი, 30 ოქტომბერი. (საკადესის სპეც. კორ).

კოტე მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავის დღესასწაული მშობლიურ სოფელში

დღეს კოტე მარჯანიშვილის მშობლიური სოფელი შეხვდა სტუმრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, რიგიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან სცენის დიდი ოსტატის დაბადების 90 წლისთავის დღესასწაულზე.

უამრავმა ხალხმა შეიყარა თავი კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში, გაეცნო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ექსპონატებს.

სტადიონზე გაიმართა მიტინგი. იგი გახსნა პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზაუტაშვილმა.

ტრიბუნაზეა რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე. — დიდ სიხარულს განიცდის თითოეული ჩვენგანი, თქვა მან, იმის გამო, რომ იმყოფება აქ, ქართული მიწაწყლის ამ მადლიან კუთხეში, რომელმაც მოგვცა ეროვნული კულტურის მრავალი შესანიშნავი მოამაგე. მათ შორის ილია ჭავჭავაძე და კოტე მარჯანიშვილი.

გულითადად მიესალმნენ ქართული კულტურის დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმრებს ყვარლის რაიონის კოტე მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ტ. ბათიაშვილი.

მოგონებანი გაუზიარა დამსწრეთ ავრორონმმა ილო ზაუტაშვილმა, რომელიც კარგად იცნობდა გამოჩენილ რეჟისორს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორმა კ. ხუციშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მ. კვირკველიამ, კოტეს შვილმა — პროფესორმა კ. მარჯანიშვილმა, რეჟისორმა ბ. კრეიცკამ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ვ. ხოროლმა, ლატვიის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელმა ა. ფრეიმანმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის თეატრების მსახიობებმა, რაიონის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა აჩვენეს ძველი თეატრალიზებული სანახაობა „ბერიკაობა“.

ჯ. მარჯანიშვილის პატივსაცემად

აზერბაიჯანის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ, რომელიც თბილისში ჩამოვიდა მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაულზე, ინახულა კოტე მარჯანიშვილის საფლავი და გვირგვინი შეამკო იგი.

ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში გამოჩენილი რეჟისორის საფლავთან აზერბაიჯანელ სტუმრებთან ერთად შეიკრიბნენ საქართველოს მწერლები, ხელოვნების მუშაკები.

პოეტმა ი. ნონეშვილმა გულთბილი მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ მეგობრებს იმისათვის, რომ მათ პატივი სცეს დიდი ქართველი რეჟისორის ხსოვნას.

საფლავი გვირგვინებით შეამკეს რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, თბილისის თეატრების კოლექტივების წარმომადგენლებმა. (საკადესი).

მეტინგი მწერლის საფლავზე

30 ოქტომბერს თბილისის ბოტანიკურ ბაღში მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავზე გაიმართა საერთო საქალაქო სიზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა დიდი მწერლის ხსოვნას.

ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე გ. პაიჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. სალუქვაძე, აზერბაიჯანის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რ. სადიხოვი.

შესავალი სიტყვით მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ. სიტყვა მიეცა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს ს. ჭილაიას.

აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ფ. ამიროვმა.

მომძმე აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანი შვილის ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს დრამატურგმა მ. ბარათაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ე. ხარაძემ, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორმა მ. მურადოვმა.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავზე იყო ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის მეგობრობის დემონსტრაცია.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებიდან

(დასაბეჭდ. ბ-ბ. ბ-ბ.)

კოლმეურნეობათა რიცხვი 101-დან 53-მდე შემცირდა. ეს იძლევა დიდ საწარმოო და ეკონომიურ ეფექტს. იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, ეკონომიურად გამართლებულია, საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის.

მოყვანილი ფაქტები და ციფრები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა შეასრულეს.

ჩვენმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელურ ფრონტად, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმედ გამოაცხადეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანები: 1965 წლისათვის რესპუბლიკამ 1958 წელთან შედარებით უნდა გაადიდოს მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსნების წარმოება 1,8-ჯერ; ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 1,5-ჯერ; ყურძნისა — 1,8-ჯერ; ხილისა — 2-ჯერ; ციტრუსებისა — 2-ჯერ; დაფნის ფოთლისა — 4,3-ჯერ; ხორცისა (დაკლულის წონა) — 2,2-ჯერ; რძისა — 2,3-ჯერ; კვერცხისა — 2,3-ჯერ.

ამ დავალებათა შესრულება მოითხოვს, რომ მკვეთრად გადიდდეს ბაღების, ვენახებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, გაიზარდოს მათი მოსავლიანობა, გადიდდეს მეცხოველეობის სულადობა და პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა უპირატესად უზრუნველყოფილ უნდა იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე. ამიტომ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც ჯერ კიდევ ისე ბევრია ჩვენს სოფლის მეურნეობაში, რომ არ შეიძლება არ მივაქციოთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ყველა კომუნისტის უაღრესად სერიოზული ყურადღება.

სოფლის მეურნეობას აქვს დიდი, გამოუყენებელი რეზერვები. ამას მოწმობს უკვე ის, რომ თანაბარი პირობების მქონე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, რაიონებს აქვთ მოსავლის მოყვანის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სხვადასხვა მაჩვენებელი.

როგორც ცნობილია ჩვენ სამშობლოს მივეცით პირობა, რომ 1965 წელს მოკრეფთ 200 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ამას კი შეიძლება მივაღწიოთ არსებული ფართობების გაუდიდებლადაც, თუ საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფთ სულ ცოტა 4 ათას კილოგრამ ფოთოლს, ეს კი სავსებით რეალურია და შეიძლება შეასრულოთ. წინასწარი გამოთვლიერებით, მიმდინარე წელს რესპუბლიკაში უკვე მოკრეფეთ საშუალოდ ჰექტარზე 3.300 კილოგრამი ფოთოლი.

ამავე დროს ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი ხანია გადააჭარბეს ამ მიზნას. მათ 1962 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 5.100 კილოგრამზე მეტი ფოთოლი. ეს რაიონი შუქურა გახდა ყველა მეჩაიეობის რაიონისათვის. ბათუმის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების მეჩაიეები აგრეთვე კრეფენ საშუალოდ ჰექტარზე 4.300-4.500 კილოგრამ ფოთოლს. თუ ზუგდიდელები და წალენჯიხელები უზრუნველყოფენ მოსავლიანობის ყოველწლიურ მატებას 200 კილოგრამი ფოთლით ჰექტარზე, 1964-1965 წლებში ისინი ჰექტარზე მიიღებენ დაახლოებით 4 ათას კილოგრამ ჩაის. თუ ავიღებთ ოჩამჩირის, სოხუმის, გალის, ჩოხატაურის, ცხაკაიასა და სხვა რაიონებს, ისინი კრეფენ 2.100 კილოგრამიდან 2.700 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს ჰექტარზე და უნდა ავიღნენ საშუალოდან მოწინავეთა დონეზე.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ ნელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი საზოგადოებრივ მეურნეობაში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს მთელი რიგი პროდუქტების წარმოების შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება.

საზოგადოებრივი სექტორი აწარმოებს მთელი ჩაის ფოთლის 94 პროცენტს, თამბაქოს 98,7 პროცენტს, შაქრის ჭარხლის, მარცვლეულისა და საქართველოს მიწათმოქმედების ბევრი სხვა ძირითადი პროდუქტის 100 პროცენტს, ამავე დროს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა პროდუქტების წარმოებაში ჯერ კიდევ დაბალია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვედრითი წონა.

განსაკუთრებით არასაკმარისია ყურძნისა და ხილის წარმოების დონე, მცირეა ციტრუსების მოსავლიანობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჩამორჩენა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება, რის შედეგად დაბალია ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების დონე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

შემდეგ ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ შეადარა მევენახეობის განვითარების მაჩვენებლები ორ რაიონში — თელავისა და ზესტაფონის რაიონებში. თელავის რაიონში პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უკეთესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად დასამზადებელი ყურძნის 84 პროცენტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილად მოდის, ხოლო ზესტაფონის რაიონში ვენახების ფართობი დაახლოებით ერთნაირად ნაწილდება, ერთი მხრივ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს და მეორე მხრივ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებს შორის, მაგრამ ვენახების ცუდი მოვლის გამო კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1961 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს ყურძნის მხოლოდ მეოთხედი ნაწილი.

შედარება დამაჯერებლად მოწმობს, რომ საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარების ჩამორჩენა ზესტაფონის რაიონში აიხსნება იმით, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები. 1954-1961 წლებში აქ გაშენდა 869 ჰექტარი ვენახი. მაგრამ ამავე დროს ცუდი მოვლის გამო დაიღუპა 1.000-მდე ჰექტარი.

დიდი ჩამორჩენაა საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებაში მაიაკოვსკის, ვანის, ორჯონიკიძისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საწარმოო სამმართველოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ვენახების განვითარებას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

დამაკმაყოფილებელი არ არის ახალგაზრდა ბაღების მოვლა. ბევრ კოლმეურნეობაში ბაღების გაშენების მიუხედავად, ფართობი არ დიდდება, რადგან იღუპება ახალგაზრდა ნარგავები.

1961 წლის დამდეგს გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყო 13.708 ჰექტარი ხეხილის ბაღი. ამავე წელს გაშენდა კიდევ 1.122 ჰექტარი. ამრიგად, უნდა ყოფილიყო 14.830 ჰექტარი, სინამდვილეში კი იყო 14.035 ჰექტარი. სადღაა 795 ჰექტარი? ცხადია, მათ იგივე ხვედრი ხვდათ, რაც გორის რაიონის სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის ბაღებს, რომლებიც დაიღუპნენ ცუდი მოვლის შედეგად.

ასეთი ფაქტები იყო დუშეთის საწარმოო სამმართველოსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში.

საზოგადოებრივ მეურნეობებში მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარების საკითხი განიხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტმა. კომიტეტმა ეს საკითხი შეიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად. გადაწყვეტილია 1965 წელს ვენახების ფართობი გადიდდეს 150 ათას ჰექტარამდე საკონტროლო ციფრებით დასახული 135 ათასი ჰექტარის ნაცვლად. ბაღების ფართობი უნდა გადიდდეს 155 ათას ჰექტარამდე 140 ათასი ჰექტარის ნაცვლად. ახალი ნარგავები უნდა გაშენდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

როგორც უკვე არაერთგზის აღნიშნეთ, ვენახების გაშენება უნდა წარმოებდეს მხოლოდ ნამყენი ნერგებით. მაშასადამე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, საწარმოო სამმართველოებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განავითაროონ და გააფართოონ სადედე მეურნეობა.

მაგრამ, რომ დაჩქარდეს ვენახების გაშენება მეურნეობებში, იქ, სადაც ამისათვის არის შესაბამისი პირობები, როგორც გამონაკლისი, შეიძლება გაშენდეს ფილოქსერაგამძლე ჯიშები საკუთარ ძირზე. და პირველ რიგში საწყავ მიწებზე.

ხეხილის ბაღებში საგვიანო თესლოვანი ხეხილის გაშენებასთან ერთად, უნდა დაირგოს საადრეო ჯიშები, აგრეთვე კურკოვანნი — ქლიავი, ალუბალი, ატამი და სხვ.

რომ გადიდდეს ბოსტნეულის წარმოება საზოგადოებრივ მეურნეობაში, უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, მებოსტნეობაში ინერგება კომპლექსური მექანიზაცია. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ სერიოზულად უნდა მოაწყოს ბოსტნეულის წარმოება, რათა უკვე მომავალი წლიდან ბოსტნეულის ძირითადი მიმწოდებლები ქალაქების მომარაგებისათვის იყვნენ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი და ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ სპეკულანტებისა და გადამყიდველების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) პლენუმის შემდეგ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამის შედეგად გაუმჯობესდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგის სტრუქტურა ძროხის სულადობის გადიდებით, გაიზარდა წველადობა, მატყლის ნაპარსი, მნიშვნელოვნად გადიდდა მეღორეობის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის საქონლურობა.

მაგრამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ტემპი დამაკმაყოფილებელი არ არის. მეტად ნელა იზრდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძროხის სულადობა. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ძროხის სულადობის ზრდის გეგმის შესრულებაში სიღნაღის საწარმოო სამმართველო, სადაც 1962 წლის 1 ოქტომბრისათვის გეგმას დააკლეს 1.542 ძროხა, გორის სამმართველო — 1.581, ახალციხის სამმართველო — 1.501, ბოლნისის სამმართველო — 1.268 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — 1.204 ძროხა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ნელი განვითარების ძირითადი მიზეზებია ის, რომ ჯეროვნად არ ზრუნავენ სადგომი სულადობის გადიდებისათვის, ცუდია მოზარდეულის გაზრდის ორგანიზაცია, დიდია ძროხის სიბერწე, არ არის მტკიცე საკვები ბაზა. შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია გადიდდეს ძროხის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობაში 320 ათასამდე. ძროხის სულადობის, აგრეთვე მისი პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდება შესაძლებელს გახდის დაახლოებით 700 ათასი ტონა რძის წარმოებას.

ეს მეტად ძნელი ამოცანაა. მისი შესრულებისათვის საჭირო იქნება ძალღონის დიდი დაძაბვა. უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის მოსახლეობისაგან მოზარდეულის ორგანიზებული შესყიდვა, მეურნეობებში მომრავლებისათვის გამოსადეგი სულადობის მაქსიმალური შენარჩუნება. ძროხის სიბერწის მინიმუმამდე დაყვანა, პირუტყვის მოვლა-შენახვის გაუმჯობესება და, რაც ყველაზე მთავარია, საკვები ბაზის განმტკიცება.

ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს. რესპუბლიკაში ყველა სახნავი მიწა როდი უკავია ნათესებს, მათ შორის სარწყავი მიწებიც. 1961 წელს გამოუყენებელი იყო 89 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა.

განსაკუთრებით ბევრი სახნავი მიწა ვერ გამოიყენეს გორის რაიონში — 6,1 ათასი ჰექტარი, სიღნაღის რაიონში — 3,7 ათასი, მარნეულის რაიონში — 3,9 ათასი, ზუგდიდის რაიონში — 2,8 ათასი ჰექტარი და სხვ.

ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა უნდა გააძლიერონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობა მიწების სრული და სწორი გამოყენებისათვის, მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ წარმოებაში დაინერგოს მიწათმოქმედების მაღალინტენსიური სისტემა, აწარმოონ ბრძოლა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ, განახორციელონ სხვა ღონისძიებანი მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის.

დაგეგმვის ახალი პრაქტიკა უფლებას აძლევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თვითონ გაიანგარიშონ თავიანთი წარმოება და გაითვალისწინონ სახელმწიფო დავალებანი. მაგრამ ამ უფლებას ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ვერ იყენებს სახელმწიფოებრივად.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას აფერხებს ის, რომ ჯერ კიდევ დიდი საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ მთელ რიგ რაიონებში და მაღალია პირუტყვის ყოლის ნორმები კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პირად საკუთრებაში. უკანასკნელ სამ წელიწადში მიღებულია ღონისძიებანი ზედმეტი საკარმიდამო ნაკვეთის შემცირებისათვის. კოლმეურნეებს, რომლებსაც ნორმაზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთები ჰქონდათ, ჩამოერთვათ 38 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა. და, მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში და ცალკეულ კოლმეურნეობებშიც კი კოლმეურნის საკარმიდამო ნაკვეთის. საშუალო ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დაწესებულ ნორმას. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლმეურნეებს ასეთ ნაკვეთებზე მოჰყავთ დიდშემოსავლიანი კულტურები და ჰყიდიან მათ საკოლმეურნეო ბაზრებზე მაღალ ფასებში, გასაგებია, რომ ასეთი ნაკვეთები კოლმეურნეთა გარკვეული ჯგუფისათვის უკვე აღარ არის დამხმარე მეურნეობა, არამედ შემოსავლის წყაროა. ასეთი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებასა და საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციას კოლმეურნეები ისე ბევრ დროს ანდომებენ, რომ საშუალება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ შრომაში.

კოლმეურნე ვასო ლუაშვილის ოჯახი ორი კაცისაგან შედგება, საკარმიდამო ნაკვეთი კი დაახლოებით ერთი ჰექტარია, აქედან 0,83 ჰექტარი ვენახს უკავია, რა თქმა უნდა, მათ არ რჩებათ დრო კოლმეურნეობაში მუშაობისათვის და ამის მისწრაფებაც არა აქვთ, რადგან საკარმიდამო ნაკვეთისაგან მიღებული შემოსავალი სავსებით უზრუნველყოფს მათ.

მომხსენებელმა მოიყვანა საველმწიფო მიწების განიავების ფაქტები. გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობაში თვითნებურად გაიფართოვა საკარმიდამო ნაკვეთები 624 კოლმეურნემ.

მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ურიგდებიან ისეთ ფაქტებს, როცა საკარმიდამო ნაკვეთებს აძლევენ ადამიანებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან. მაგალითად, ქალაქ ქუთაისში 500-ზე მეტ სახლთმფლობელს აქვს საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც ნორმას აღემატება, ხოლო 50 კაცს აქვს ნაკვეთები 0,15-დან ერთ ჰექტარამდე. ანალოგიური ფაქტებია სოხუმში, გაგრაში, ზუგდიდში და სხვაგან. უმოკლეს ვადაში უნდა დავამყაროთ წესრიგი ამ საქმეში.

ამას წინათ გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა სტატია „საზოგადოებრივი და პირადი შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ“, რომელშიც ნაჩვენებია წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობაში მიღწეულია საზოგადოებრივი მეურნეობის ისეთი მაღალი დონე, რომ უზრუნველყოფს ყოველი კოლმეურნის ოჯახის დიდ შემოსავალს. სწორედ ამის გამო ზემომაჩხაანელებმა თქვეს უარი საკარმიდამო ნაკვეთებზე და პირად პირუტყვზეც კი. მისი შენახვა არ არის ხელსაყრელი კოლმეურნისათვის, იგი საკმაო რაოდენობით იღებს რძეს საზოგადოებრივი ფერმიდან. ზემომაჩხაანელთა მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა გზით უნდა ვითარდებოდეს საზოგადოებრივი მეურნეობა.

ზოგიერთ კოლმეურნეს იმდენად განუვითარდა კერძომესაკუთრული ტენდენციები, რომ საკუთარ მუშა პირუტყვსაც კი იჩენს.

მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობებს იმის გამო, რომ საზოგადოებრივი ბოსლები არა აქვთ, მუშა პირუტყვი კოლმეურნეთაგან ნაქირავებ სადგომებში ჰყავთ. ამისათვის არტელი სადგომების მფლობელებს არიცხავს შრომადღეებს, უზრუნველყოფს პირუტყვს საკვებით. ასეთ შემთხვევებში კოლმეურნეები, რომელთაგან არტელი ქირაობს სადგომებს, ხშირად ხარებს იყენებენ როგორც საკუთარ პირუტყვს.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ საზოგადოებრივი ბოსლებისა და თავლების მშენებლობა კოლმეურნეობებში.

სერიოზული პრეტენზია გვაქვს კოოპერაციისადმი, რომელიც ცუდად ასრულებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას კოლმეურნეებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის შესყიდვის შესახებ.

მოწინავე მეურნეობანი წარმატებას, უწინარეს ყოვლისა, იმით აღწევენ, რომ აწესრიგებენ შრომის ორგანიზაციის საქმეს, ფართოდ იყენებენ მეურნეობის გაძღოლის ახალ პროგრესულ მეთოდებს, განამტკიცებენ შრომის დისციპლინას, აძლიერებენ მინდვრის მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას თავიანთი შრომის შედეგებით. ამავე დროს მოწინავე მეურნეობათა შრომის უკეთესი ორგანიზაციის გამოცდილებას სუსტად ვსწავლობთ და ვავრცელებთ.

რამდენიმე წლის წინათ საგარეჯოს რაიონის მექანიზატორმა მიხეილ გიბიშვილმა შეჯიბრება დაიწყო საბჭოთა კავშირში ცნობილ მექანიზატორთან ნიკოლოზ მანუკოვსკისთან. მისი მაგალითისამებრ იგი უვლის 100 ჰექტარ სათოხნ კულტურებს და ამუშავებს მექანიზებული წესით ხელის შრომის გამოუყენებლად. კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადების შექმნის ამ ინიციატივას მიბაძა გურჯაანის, სიღნაღის, ქარელის, აბაშისა და ხობის რაიონების ზოგიერთმა სხვა მექანიზატორმა. მიჩენილ ნაკვეთებზე მათ უხვი მოსავალი მოჰყავთ და მნიშვნელოვნად შეამცირეს ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება. მაგრამ, მუშაობის ეს პროგრესული მეთოდები ჩვენში ფართოდ ვერ გავრცელდა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ამისათვის საჭიროა იმრომო, სხვაგვარად გაანაწილო ძალები, უკეთ მოაწყო ადამიანთა შრომა. ყოველგვარი პროგრესული წამოწყება დაკავშირებულია გარკვეულ მეცადინეობასთან, დაძაბულ შრომასთან. ეს კი მშვიდი ცხოვრების ზოგიერთ მოყვარულს არ მოსწონს.

შრომის სწორი ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამომუშავების დასაბუთებული ნორმები დავაწესოთ ყოველი სახეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამომუშავების ნორმები ყოველ წელიწადს გადაისინჯება ხოლმე. ნორმებს ადგენენ ტექნიკური დანორმვის გზით და მათი შესრულება შეუძლია შრომისუნარიან კოლმეურნეთა უმრავლესობას.

მაგრამ ჩვენში კიდევ ცოტა რიდია ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დანორმვის საკითხები დღემდე არ არის მოწესრიგებული. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ზოგჯერ გამომუშავების გადიდებული ნორმების დაწესებით დაინტერესებული არიან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საანგარიშო დარგის მუშაკები, ბრიგადირები და სპეციალისტები. ისინი განთავისუფლებული არიან ფიზიკური შრომისაგან და შრომადღეები ერიცხებათ მტკიცე განაკვეთების მიხედვით. მაშასადამე, რაც უფრო მნიშვნელოვანია შრომადღე, მით უფრო ხელსაყრელია მათთვის.

გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობაში 10-15 წლის ხეხილის გასხვლაზე დაწესებული იყო ნორმა — 70 ხე ერთ შრომადღეზე. ეს ნორმა ვერც ერთმა კოლმეურნემ ვერ შეასრულა. ზესტაფონის რაიონის სოფლების მეორე სვირისა და ილემის კოლმეურნეობებში მთელი რიგი სამუშაოებისათვის დაწესდა გამომუშავების ისეთი ნორმები, რომლებსაც ვერ ასრულებს კოლმეურნეთა 70-80 პროცენტი. და ამავე დროს არის შემცირებული ნორმების დამტკიცების ფაქტები, რომელთა მეოხებით შრომადღეები ნიავდება და უფასურდება.

შრომითი საქმიანობის მორალური და მატერიალური სტიმულები ურთიერთ უნდა ავსებდნენ ერთიმეორეს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა ის, რომ ფართოდ გავრცელდეს შრომის დამატებითი ანაზღაურება კოლმეურნეობებში და აკრძალულ-პრემიალური ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობებში. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მატერიალური დაინტერესების გადიდების საუკეთესო საშუალება გახდა შრომის ყოველთვიური გარანტირებული ფულადი ანაზღაურება და ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის დანერგვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდებას, უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა შეასრულეს ამ მხრივ. კოლმეურნეობებს რეკომენდებული აქვთ შრომის დამატებითი ანაზღაურების სანიმუშო პირობები. აბაშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. სადაც ეს რეკომენდაციები გამოიყენეს, მიაღწიეს სიმინდის საშუალო მოსავლიანობის 4,7 ცენტნერით ზრდას. ამ არტელის კოლმეურნეთა მესამედმა შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო 165 ტონა სიმინდი, ესე იგი თვითეულ კოლმეურნეზე — საშუალოდ 7,7 ცენტნერი მარცვალი.

მაგრამ მთელ რიგ მეურნეობებში ამ საქმეში სერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს უშვებენ.

ჩვენ ყველანი იმ ენთუზიაზმის, შთაგონების მოწმენი ვართ, რომლითაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი შრომობს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ისინი იჩენენ საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებას, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანების ამ მასობრივი გმირობის ფონზე განსაკუთრებით გვეცემა თვალში ჩვენს სოფელში მყოფი მუქთახორები, რომლებიც როგორც სარეველები ჯერ კიდევ ხარობენ ჩვენს საბჭოთა ყანაში.

შრომის დისციპლინის დარღვევა კოლმეურნეობაში დიდი ბოროტებაა, რომლის წინააღმდეგ ყველა პატიოსანი მშრომელი უნდა იბრძოდეს. ამ ბრძოლისათვის მოუწოდა თავის სტატიაში, „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას“ რიგითმა მშრომელმა, ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის არტელ „პირველი მაისის“ წევრმა ნადეჟდა გრიგოლის ასულმა ზაგლადამ.

ამხანაგ ზაგლადას გამოსვლას მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარჩინებული უკრაინელი კოლმეურნის გამოსვლას აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომ ამ გამოსვლაში აღძრულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის თვითეული კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშის პირადი პასუხისმგებლობის გადიდების საკითხები. ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნაკლოვანებანი, რომლებსაც ეხება ნ. გ. ზაგლადას სტატია, არის საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და ეს არ შეიძლება არ იწვევდეს შეშფოთებას.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობაში შარშან საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა არ მიუღია არტელის შრომისუნარიანი წევრების 32 პროცენტს. ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში იმ მუშების შრომის ასაანაზღაურებლად, რომლებიც კოლმეურნეობებმა დაიქირავეს იმის გამო, რომ არტელის ბევრი წევრი თავს არიდებდა მუშობას, დაიხარჯა 16 ათასი მანეთი. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოდ დაიხარჯა 33 ათასი მანეთი. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის არტელს უხდება ბევრი მუშის დაქირავება გარედან. საკოლმეურნეო შემოსავლის მეტ ნაწილს ამ არტელში იღებენ არა კოლმეურნეები, არამედ დაქირავებული პირები. მაგალითად, არტელის საერთო ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებზე განაწილდა 45,7 ათასი მანეთი, ხოლო დაქირავებულ პირებს გადაუხადეს 53,3 ათასი მანეთი. კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობაში არტელის 886 წევრიდან ორასამდე კაცს არ გამოუმუშავებია შრომადღეების დაწესებული მინიმუმი, ხოლო 74 კოლმეურნეს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივ წარმოებაში. თუმცა მათ აქვთ საკარმიდამო ნაკვეთი, ჰყავთ პირუტყვი, თავისთვის მუშაობენ. ისინი არცხვენენ პარტიის წევრის წოდებას. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი მათი პარტიაში ყოფნის შესახებ.

კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის გაუმჯობესებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნისტებისა და მეურნეობის ხელმძღვანელების პირადი მაგალითი.

სოფლის კომუნისტი პარტიის მოწინავე მებრძოლი, მისი იდეების აგიტატორი და პროპაგანდისტია. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ შეასრულებს იგი თავის ავანგარდულ როლს, თუ თავისი პირადი შრომით არ მისცემს მაგალითს ყველა კოლმეურნეს.

პარტიის წევრი ა. აიტოვი 1960 წლის დამდეგს აირჩიეს წალკის რაიონის სოფელ გუნია-ყალის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მან ჩაფუშა მუშაობა კოლმეურნეობაში, და კოლმეურნეთა საერთო კრებამ გაათავისუფლა სამუშაოდან. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, მაგრამ აიტოვს არც ერთი დღე არ უმუშავნია. მას შესთავაზეს რამდენიმე სამუშაო, ორჯერ რაიკომის მიუროომ იმსჯელა აიტოვის შრომითი მოწყობის შესახებ, მაგრამ იგი კატეგორიულად ამბობდა უარს ყოველგვარ წინადადებაზე. აიტოვმა დაწერა რამდენიმე ათეული ციხისმწამებლური განცხადება. იბადება კითხვა. რა სახურებით ცხოვრობს იგი ამდენ ხანს ისე, რომ არსად არ მუშაობს?!

ან კიდევ ონის რაიონის სოფელ გლოლის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. ჩაჩხაშვილი. უკვე 10 თვეა, რაც თავმჯდომარის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ დღემდე არ მუშობს ფიზიკურად კოლმეურნეობაში.

შექმნილ მდგომარეობაში ბრალი მიუძღვით არა მარტო აიტოვსა და მსგავს პირებს, არამედ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიის რაიკომებს, რომლებიც ასეთი ადამიანებისადმი იჩენენ სრულიად გაუმართლებელ ლიბერალიზმს.

პარტიულ ორგანიზაციებს არა აქვთ არავითარი უფლება გვერდი აუარონ იმ ფაქტებს, როცა ადამიანები დაუდევრად ეკიდებიან შრომას, საზოგადებრივ საკუთრებას.

სოფლის მუქთახორები, ზარმაცები, რა თქმა უნდა ისინი ერთეულები არიან, არ თაკილობენ იცხოვრონ სხვების შრომით, მაშასადამე საჭიროა მათაც მოეკიდნენ კანონის შესაბამისად. თუ არ გვექნა საანალიზო წესრიგი, დისციპლინა, მომთხოვნელობა, ვერ გადავჭრით იმ დიდ ამოცანებს, რომელნიც დასახულია ოქტომბრის წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის ოლქობრივ, ადგილობრივ ... ...

ამხანაგ ვ. პ. მჭავანაძის მოხსენება

(დასასრული)

საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირურთიერთობა, რაც კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების მიზანშეწონილი და ეკონომიური გამოყენების უაღრესად შესანიშნავი ფორმაა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საკოლმეურნეობათაშორისო კავშირურთიერთობის შექმნა დაახასიათა როგორც ახალი პროგრესული მოძრაობა. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში შექმნილია დაახლოებით 140 საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომელთაგან ბევრმა თავი გამოიჩინა როგორც ეკონომიურად ხელსაყრელმა, შემოსავლიანმა ორგანიზაციამ. მაგრამ ამავე დროს არის მთელი რიგი საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი მეფრინველეობის ფერმებისა და ღორის გასასუქებელ მეურნეობათა სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც რენტაბელური არ არიან და დიდი ზარალი მოაქვთ.

პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა სოფლად სასწრაფო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა წესრიგი დამყარდეს ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვაში, შეწყდეს პრაქტიკა კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯვისა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების გადამეტებით, ამაღლდეს კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების როლი. არტელის ყველა წევრმა უნდა იცოდეს, რომ საკოლმეურნეო სახსრების განმკარგულებელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გამგეობა კი არა, კოლმეურნეთა საერთო კრებაა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში რამდენადმე გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება. გადიდდა სტარაქტორო სამუშაოთა მოცულობა, გაფართოვდა მანქანების გამოყენების სფერო, და მაინც ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ საბჭოთა სოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას. ოჩამჩირის, ხობის, დუშეთის, ცხაკაიას, ახალციხის, ზნაურისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ტრაქტორის დატვირთვა არ აღემატება 66-99 ჰექტარს. მხოლოდ ტექნიკისადმი გულგრილი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას მანქანების ასეთი გამოყენება.

არსებული მანქანების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესებისა და ახალი მანქანების დანერგვის, რემონტისა და სამანქანო-სატრაქტორო პარკის ტექნიკური მომსახურების საკითხები უნდა იდგეს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ყურადღების ცენტრში. ის უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ცენტრი, ზრუნავდეს სამრეწველო კულტურის დანერგვისათვის სოფლის მეურნეობაში.

დიდ ყურადღებას აქცევენ სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას, ვენახების, ჩაის პლანტაციებისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად ახალი მიწების ათვისებას რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სამანქანო-სამელიორაციო სადგურები და სამანქანო-სამელიორაციო რაზმები. უნდა გავაძლიეროთ და გავაფართოოთ ამ ორგანიზაციების მუშაობა.

სულ უფრო ფართოდ იყენებენ რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სიმინდის ასაღებ კომბაინებს. შარშან ამ ტექნიკის საშუალებით პირველად იქნა აღებული მოსავალი 3 ათასი ჰექტარზე მეტ ფართობზე. ამის შედეგად დაიზოგა 53 ათასზე მეტი კაცდღე. ცდებმა ცხადყო, რომ სიმინდის ასაღები კომბაინები წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებშიც. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელები და პარტორგები სრულიად გაუმართლებელ კონსერვატიზმს იჩენენ ამ პროგრესული ტექნიკის გამოყენების საქმეში. ბოლო უნდა მოვუღოთ ტექნიკისადმი ასეთ დამოკიდებულებას და მაქსიმალურად მექანიზებული უნდა გავხადოთ სიმინდის მოვლა-მოყვანა რესპუბლიკის ყველა რაიონში.

ამხანაგებო! პარტიამ და მთავრობამ დიდი ხანია შეაფასეს მოწინავე გამოცდილება როგორც საყოველთაო-სახალხო სიმდიდრე, დიდი ეროვნული კუთვნილება, ამ გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა კი მიიჩნიეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ. ცხოვრება, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულია მოწინავე გამოცდილების დანერგვასთან.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ მოწინავე გამოცდილების დანერგვა სავალდებულო საქმეა და ძალიან ნელა გადავდივართ სიტყვიდან საქმეზე. აი უკვე მეოთხეული საუკუნეა ვალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავს სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ჩოქოლი ქვაჩახია, მაგრამ დღემდე ამ კოლმეურნეობაშიც კი ყველა როდი მუშაობს როგორც ჩოქოლი ქვაჩახია. უბედურება ის არის, რომ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა ხშირად წარმოებს ტყუილ-უბრალოდ, განმტკიცებული არ არის ორგანიზატორული მუშაობით.

ახლის, პროგრესულის დანერგვას, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო ხელმძღვანელები უნდა ეწეოდნენ, არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ჩვენში დამკვიდრებული ის ტენდენცია, რომ მოწინავე გამოცდილების გამოვლინებას, განზოგადებასა და დანერგვას უმთავრესად აკისრებენ აგიტატორს და ყოველგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ამ დარგში დიდი მუშაობა უნდა განახორციელონ სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებმა. ისინი მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ ყოველივე ახალი, რაც იბადება საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ამ ახალს და მიაღწიონ იმას, რომ იგი აუცილებლად დაინერგოს.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებენ კადრები, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ წარმოებაში, იქ, სადაც იქმნება მატერიალური ფასეულობანი, სადაც აწარმოებენ ჩაის, ყურძენს, ხორცს, რძესა და სხვა პროდუქტებს.

ამ კადრების გულდასმით, მოფიქრებულად შერჩევა და განაწილება, მუდმივი ზრუნვა მათთვის, ყურადღება, გულისხმიერი დამოკიდებულება კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ყოველი ხელმძღვანელისადმი, ბრიგადირისადმი, მერგოლურისა და ფერმის გამგისადმი — აი ის საშუალება, რომ გადავჭრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი კონკრეტული საკითხი.

რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ბევრი კარგი სპეციალისტი მუშაობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკი ანგარიშს არ უწევს სპეციალისტთა მითითებებს, თუმცა თვით მათ ხშირად ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ აგრონომიასა და ზოოტექნიკაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა სპეციალისტთა როლის ამაღლების შესახებ აღნიშნულია, რომ მათ უნდა განახორციელონ აგრონომიული და ზოოტექნიკური სამსახური საზოგადოებრივი მეურნეობის საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისათვის.

ამ დადგენილებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტთა შორის. გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ახდენძის“ სპეციალისტთა მაგალითისამებრ 300-ზე მეტი აგრონომი, აგროტექნიკოსი და ზოოტექნიკოსი გადავიდა უშუალოდ საწარმოო ბრიგადებსა და კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ. ეს მუშაობა მომავალშიც უნდა განვახორციელოთ, მაგრამ არ უნდა დავუშვათ აჩქარება და განურჩეველი მიდგომა საქმისადმი.

ამხანაგებო! მთელ თავიანთ მრავალმხრივ საქმიანობაში პარტიული ორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, მშრომელები. „კომუნიზმი, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — იქმნება მუშათა და გლეხთა ყოველდღიური, ხშირად შეუმჩნეველი, მაგრამ თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული შრომით. სოციალისტური წყობილების მიერ შექმნილ მთელ ფასეულობათაგან ყველაზე დიდი ფასეულობაა ახალი ადამიანი — კომუნიზმის აქტიური მშენებელი“.

ჩვენი სოფლის მშრომელების მთელმა გონებამ და ენერგიამ განსაკუთრებით უცვალა სახე ქართულ სოფელს. მათ, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, თავდადებული შრომით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა გადააქციეს მსხვილ, მექანიზებულ, მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობად, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკაში.

ახალი საზოგადოების ადამიანის საუკეთესო ნიშანთვისებებს გვიჩვენებენ წარჩინებული მეჩაიეები ტატიანა ჩხაიძე, გული ავიძბა, ლეილა მაღულარია, მაყვალა ჯინჭარაძე, ანა დაშკინა, ამალია ხატურიანი, მეციტრუსე დურსუნ ბაკურაძე, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები ვანო მესტვირიშვილი, გოიგოლ ფორჩხიძე, ალექსი ონოფრიშვილი, მებაღე გუგული გუგუტაშვილი, სახელმოხვეჭილი მესიმინდეები ჩოქოლი ქვაჩახია, კოტე სანდუხაძე, კონსტანტინე ჯოჯუა, ვლადიმერ ბატიაშვილი, მწველავები სოფიო დელიბაშვილი, პოლსანამ ალიევა, მწყემსები გიორგი ჩალაბაშვილი, სანდრო ობგაიძე, ივანე კურკუმელი და ბევრი სხვა.

სოფლის პატიოსანი მშრომელები მოითხოვენ შეიქმნას შეუწყნარებლობის ვითარება წამგლეჯთა, უქნარა, დაუდევარი ადამიანების მიმართ, იმათ მიმართ, ვინც ცდილობს იცხოვროს სხვის ხარჯზე. ყველა სასოფლო პარტიული ორგანიზაციის უპირველესი იდეოლოგიური ამოცანაა შექმნან ფართო საზოგადოებრივი აზრი სოფლად ამ სარეველათა წინააღმდეგ.

ამ მხრივ დიდი მუშაობა უნდა განახორციელოს ჩვენმა პრესამ— რესპუბლიკურმა, საოლქო და სარაიონთაშორისო გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზიამ. რესპუბლიკური პრესა, კერძოდ კი სარაიონთაშორისო გაზეთები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშრომელთა პოლიტიკური, შრომითი და მორალური აღზრდის საქმეში. ჩვენ ვერ ვუსაყვედურებთ მათ ცუდად მუშაობთო. კარგად აშუქებენ სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძვლებს ჩვენი რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოფლის ცხოვრება“. მაგრამ ეს, ამხანაგებო, საკმარისი არ არის. პრესა კომუნისტური პარტიის მძლავრი იდეური იარაღია და ჩვენც სრულად უნდა გამოვიყენოთ მთელი მისი შესაძლებლობანი.

იმ გიგანტურ შემოქმედებითს მუშაობაში, რომელიც ახლა წარმოებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად, საბჭოთა პრესის წინაშე დასახულია საპატიო ამოცანა: მართალი, მგზნებარე, ბოლშევიკური სიტყვით იბრძოლოს ლენინური პარტიის იდეების გამარჯვებისათვის, სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული გეგმების უსწრაფესი განხორციელებისათვის, ულმობლად ამხილოს ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მორალის ყოველგვარი გამოვლინება, სამარცხვინო ბოძზე გაკრას ზარმაცები, მუქთახორეები, მომხვეჭელნი, მექრთამენი, ბიუროკრატები, ხულიგნები, წუნის მკეთებელნი, ადამიანები, რომლებიც უგულებელყოფენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

პრესამ მშრომელები უნდა აღზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

ჩვენი გაზეთები უნდა გახდნენ ყოველივე ახლის პროპაგანდისტები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ფართოდ უნდა გაამუქონ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების უპირატესობანი, ყოველი ღონისძიებით გაუწიონ პოპულარიზაცია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ხელი შეუწყონ მათს ფართო დანერგვას წარმოებაში, გაბედულად და აშკარად გამოიყვანონ მზის სინათლეზე კონსერვატორები, ამხილონ უმეცრებისა და ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებანი, რომლებიც აფერხებენ ჩვენს წინსვლას.

გაზეთების უპირველესი მოვალეობაა იბრძოლონ ჩვენი შესანიშნავი შუქურების, წარმოების ნოვატორების მოწინავე გამოცდილების ყოველდღიური დანერგვისათვის. ამასთანავე გაზეთებმა ერთი წუთითაც არ უნდა შეანელონ მწვავე, შეურიგებელი ბრძოლა სოციალისტური მართლწესრიგის, სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა, იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს შემოქმედებითს და ბედნიერ ცხოვრებას.

სერიოზული ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციაში, შრომის დისციპლინის მდგომარეობაში, ისეთ საკითხებში, როგორიც არის ზრუნვა კადრებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწორი გამოყენებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, მნიშვნელოვანწილად აიხსნება სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარვეზებით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პარტიის სასოფლო რაიკომებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტორგთა მუშაობაში ჯერ კიდევ იჩენს თავს კონკრეტული ხელმძღვანელობის უუნარობა. ზოგიერთ ჩვენს სოფლის პარტიულ მუშაკს ჯერაც არ აღმოუფხვრია ძველი მანკიერი საერთოდ და მთლიანად ხელმძღვანელობის სტილი. ისინი მიდიან კოლმეურნეობაში, იწვევენ კრებას, წარმოთქვამენ სიტყვებს და უკან ბრუნდებიან, დარწმუნებულნი, რომ მათი წასვლის შემდეგ კოლმეურნეობაში ყველაფერი შეიცვლება. სინამდვილეში კი კოლმეურნეობაში ყველაფერი ძველებურადვე რჩება. ყველაზე კარგი ღონისძიებებიც კი ჰაერში გამოეკიდება, ქაღალდზე დარჩება, თუ მათ არ განვამტკიცებთ ენერგიული ორგანიზატორული მუშაობით.

ჩვენ გვჭირდება ისეთი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა თავისი ქმედითობით, ისეთი იდეოლოგიური მუშაობა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, შეხამებულია ორგანიზატორულ მუშაობასთან, ისეთი მუშაობა, როცა სიტყვას საქმე მოსდევს.

იმას, რომ საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს მთელი პოლიტიკურ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი სოფლად, ნათლად მოწმობენ ფაქტები, რომლებიც ამას წინათ ჩხოროწყუს რაიონში გამოვლინდა. რაიონში საქმის ვითარება თითქოს სავსებით კარგად იყო. იმართებოდა ლექციები და საუბრები, აგიტატორები აცნობდნენ კოლმეურნეებს საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ამბებს, მუშაობდა მრავალი წრე, სემინარი და პოლიტსკოლა, შექმნილი იყო მოწინავე გამოცდილების სკოლები, იწვევდნენ პარტიულ კრებებს, იღებდნენ რეზოლუციებსა და დადგენილებებს, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ მთელი ეს მუშაობა მიმდინარეობდა ფორმალურად, ფუჭად, არ იძლეოდა სასურველ შედეგს, რადგან იგი განმტკიცებული არ იყო ორგანიზატორული მუშაობით.

ცენტრალურმა კომიტეტმა შესაბამისი დასკვნები გამოიტანა ამ ფაქტიდან. საჭირო გახდა სამუშაოდან მოგვეხსნა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მორგოშია და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხუნტუა, განვამტკიცეთ რაიკომის ბიუროს შემადგენლობა. ჩხოროწყუს რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ მშრომელთა შორის მთელი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ მის მაღალ ქმედითობას.

სოფლად სწორად მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კრიტერიუმი უნდა იყოს წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ხარისხი და თვითღირებულება. კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის პარტიულ კრებებზე უნდა განიხილავდნენ არა ზოგად, არამედ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც ყველას აღელვებს, ისეთ საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, ტექნიკის გამოყენება, მოწინავე გამოცდილების დანერგვა, აგროტექნიკის დაცვა ა. შ. სოფლის კომუნისტთა ავანგარდული როლის საკითხები უნდა აღიძრას ყოველი თემის განხილვის დროს, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტი სოფელში ის თავკაცია, რომელსაც მხარს უსწორებს ყველა კოლმეურნე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაჩვენებლები მიუღწეველი როდია ყველა სხვა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის. ამ მაჩვენებლების მიღწევა რეალურად შესაძლებელია. და იმის მიხედვით, თუ როგორ აღწევენ ჩამორჩენილ მეურნეობათა ხელმძღვანელები მოწინავეთა დონეს, პარტია შეაფასებს მათს მუშაობას. ის ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ აღწევენ ასეთ დონეს, დიდ ხანს არიან ჩამორჩენილ თუ საშუალო ხელმძღვანელთა შორის, იმოწმებენ რა სხვადასხვაგვარ ობიექტურ მიზეზს, თვითონვე აღიარებენ, რომ არ შესწევთ მეურნეობის გაძღოლის უნარი, უნდა შეავცალოთ.

ამხანაგებო! სამეურნეო წლის დამთავრებამდე სოფლად ორიოდე დღე დარჩა. უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ჩვენი მუშაობის წინასწარი შედეგები. ჩვენმა სახელოვანმა კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები ვადაზე სამი თვით ადრე გაანაღდეს. სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა წამოიწყეს შესანიშნავი ინიციატივა, რომელსაც ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა: მათი მაგალითით ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტები წავიდნენ სამუშაოდ იქ, სადაც უშუალოდ ყოფილა ბოსტანი ბედი. გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში 160-ზე მეტი სპეციალისტი — აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ხელმძღვანელობს ბრიგადებსა და ფერმებს. ისინი საქმის ცოდნით წარმართავენ სოფლის მეურნეობას, დაეხმარნენ ნერგაკეენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მიზანსწრაფულობამ, ფერმებსა და ბრიგადებში კომუნისტთა და სპეციალისტთა სწორმა განაწილებამ შესანიშნავი შედეგები მოიტანა. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების მშრომელებმა პირნათლად გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი. მაგალითად, გურჯაანელმა მევენახეებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 31.865 ტონა ყურძნისა და ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 35.000 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს დაახლოებით 43 ათასი ტონა ყურძენი. სოფლის მოსახლეობამ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.700 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდა საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილი 15.460 ტონა ყურძენი.

ამხ. აზაურაშვილმა დააყენა ღვინის ქარხნების გაფართოების საკითხი. მიმდინარე წელს გურჯაანის ტერიტორიული სამმართველოს ღვინის ქარხნები ყურძნის გადამუშავების სეზონს მომზადებული შეხვდნენ. მაგრამ ამავე დროს ფერხდებოდა დამზადებული ყურძნის მიღება. ეს, ძირითადად, აიხსნება იმით, რომ საკმარისი არ არის ქარხნების წარმადობა, დაბალია მათი ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონე.

ყაჩაღანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, თქვა მისმა დირექტორმა **ა. ბასანოვმა,** ერთ წელიწადზე მეტია, რაც შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციის პერიოდი დაემთხვა დაბაბულ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს, აგრეთვე არახელსაყრელი კლიმატური პირობები იყო, მეურნეობის კოლექტივმა მაღალ დონეზე და დროულად განახორციელა მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მიიღო უხვი მოსავალი. მეურნეობამ ყოველ ჰექტარზე მიიღო 23.4 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, 40 ცენტნერი ქერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერისა. სახელმწიფოს ჩაბარდეთ 1.384 ტონა ხორბალი, მაშინ როცა გეგმა 1.150 ტონას ითვალისწინებდა, ამასთან მეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილია სათესლე მასალითა და ფურაჟით. ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით, ხილისა — 135 პროცენტით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 137 ტონისა, სახელმწიფოს ჩავაბარეთ 140 ტონა ხორცი, 680 ტონა რძე.

ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობა რენტაბელურ მეურნეობად გადაიქცა, ამ მოგებით ამოავსებს სამეურნეო წელს. წარსულ წლებთან შედარებით — სანამ ეკონომიურად სუსტად განვითარებული კოლმეურნეობების ბაზაზე საბჭოთა მეურნეობა შეიქმნებოდა, — მეურნეობამ შესაძლებელად გაადიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარების გეგმებს.

საბჭოთა მეურნეობის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, აღნიშნა შემდეგ ამხ. ჰასანოვმა, გარკვეულ მუშაობას ეწევიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობაში ირიცხება დიდძალი მუშა, ჩვენ მაინც გვჭირდება ადამიანები.

ორატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სწორად არ იყენებენ მიწებს და უსისტემოდ ეწევიან მათს ექსპლოატაციას. დღემდე არ განხორციელებულა მიწათმოწყობის სამუშაოები და არ მოუცია მეურნეობის გაძღოლას მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, საჭიროა დაჩქარდეს წარმოების ელექტროფიკაცია და მექანიზაცია, რაც დაახლოებით 10-12 პროცენტით გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, კიდევ უფრო აამაღლებს მეურნეობის რენტაბელობას.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ, თქვა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა **პ. სახვრიძემ,** მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად ძალიან გამოცოცხლდა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ ასულა დღევანდელობის მოთხოვნების დონეზე. პარტიული მუშაკები, სამეურნეო ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები იშვიათად კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ჯერ კიდევ ფართოდ არ განვითარებულა საზოგადოებრივი საწყისები ინდივიდუალურ მუშაობაში. ბევრი რამ უნდა განხორციელდეს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვისათვის.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, სრულყონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები, რათა მასების აღზრდა ქმედითი, კონკრეტული გახდეს.

უკანასკნელ შვიდ წელიწადში ცუდი მოვლა-დამუშავების გამო ორას ჰექტარზე მეტი ვენახი დაიღუბა რაიონში. პარტიის რაიკომმა გამოიყო სპეციალური კომისია მთელი რიგი კოლმეურნეობების ჩამორჩენის მიზეზების შესასწავლად. შემოწმებამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა და გამგეობებმა, როგორც საჭიროა, ისე არ მოაწყეს კოლმეურნეთა შრომა. თითქმის არაფერი არ განხორციელებულა ადამიანთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის.

21 ოქტომბრისათვის რაიონში დამზადებულია 4.500 ტონაზე მეტი ყურძენი — თითქმის 1.000 ტონით მეტი, ვიდრე 1961 წელს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ერთწლიანი კულტურების მოვლა-დამუშავება.

კოლმეურნეთა დიდი ნაწილი ჩაბმულია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა. ყველა შრომისუნარიანი ადამიანი როდია ჩაბმული საზოგადოებრივ შრომაში. ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ეძღვნა რაიონის პარტიული და სამეურნეო მუშაკების მთელი ყურადღება.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თხილაიშვილმა.** აჭარის მშრომელები, თქვა მან, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მძლავრი იარაღით — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამით შეიარაღებულნი, დაუცხრომლად შრომობენ, რათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში აჭარის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა 105 პროცენტით გაანაღდეს დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 5.430 ათასი მანეთის პროდუქცია.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

კამათი ამხ. ვ. პ. მჭავანაძის მოხსენების გამო

ამხ. **მჭავანაძის** მოხსენების გამო კამათი გახსნა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ნ. მამაიაშვილმა,** პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ, თქვა მან, ჩვენს კოლმეურნეობაში გაიშალა დაძაბული ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების გადაუდებელი ამოცანების გადაჭრისათვის, რეზერვების უსწრაფესი გამოყენებისათვის.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც 158 კომუნისტს აერთიანებს, უნარიანად გაანაწილა ისინი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. კომუნისტები გვიჩვენებენ ავანგარდულ როლს და მიუძღვიან დანარჩენ მშრომელებს. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, საზოგადოებრივმა მეურნეობამ მიმდინარე წელსაც წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ჩვენი კოლმეურნეების კეთილდღეობის ძირითადი წყარო საზოგადოებრივი მეურნეობისაგან მიღებული შემოსავალია. ჩვენ გვყავს სამი ათასზე მეტი სულიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 27 ათასი ცხვარი, სამი ათასი ღორი, 19 ათასი ფრთა ფრინველი, გვაქვს 45 ტრაქტორი, 51 ავტომანქანა და სხვა სიმდიდრე. კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი 3.033.192 მანეთს შეადგენს. ჩვენმა კოლმეურნეობამ მიაღწია იმას, რომ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ძირითადი წყაროა საზოგადოებრივი მეურნეობისაგან მიღებული შემოსავალი. არტელის წევრთა თავდადებული შრომის, საზოგადოებრივ მეურნეობაზე მათი ზრუნვის შედეგად კოლმეურნეთა პირადი მეურნეობა თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს კოლმეურნეთა მატერიალურ კეთილდღეობაში, და საკარმიდამო ნაკვეთები მათთვის მხოლოდ ზედმეტ საზრუნავად იქცა. კოლმეურნეთა უმრავლესობამ უარი თქვა საკარმიდამო ნაკვეთებზე, კოლმეურნეობამ შექმნა მსხვილი მერძევეობის ფერმები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმებს და ამავე დროს უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა პირად მოთხოვნილებებს რძეზე. ამიტომ კოლმეურნეობის წევრთა დიდმა უმრავლესობამ უკვე დიდი ხანია უარი თქვა პირად ძროხებზე და გაათავისუფლა ქალები საკუთარ მეურნეობაში მძიმე შრომისაგან.

ამხ. მამაიაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ისინი, ვინც ხელს უშლის მუშაობას, ისინი, ვინც უსაქმურად ლაყბობს, ვინც ხელს უშლის ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ზემო მაჩხაანში ბევრია შექურა, ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ჩვენი მექანიზატორები ბ. ბოსტოღანაშვილი, გ. გიგილაშვილი, პ. ქადაგიძე, გ. ნატროშვილი და სხვები გვიჩვენებენ საზოგადოებრივი შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითებს. მათ დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ კოლმეურნეობას 20 ოქტომბრისათვის შეესრულებინა საშემოდგომო თესვის გეგმა.

კარგი მაჩვენებლები აქვთ მეცხოველეებსაც. მიუხედავად ხანგრძლივი გვალვისა, მეცხოველეობის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ცაკაშვილი ხელმძღვანელობს, 20 ოქტომბრისათვის ყოველ ძროხაზე მიიღო 2.335 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.095 ლიტრისა. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი მოიპოვეს ჯანაშვილის ბრი

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

(დასასრული)

შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიშნები, ურყევი მისწრაფება ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების შესრულებისაში გვიჩვენეს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა. მათ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26.121 ტონისა, მოკრიფეს 29.580 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ვადაზე ადრე 106,3 პროცენტით გავანაღდეთ შვიდწლიანი გეგმა ჩაის დარგში. ყოველ ჰექტარზე მოკრეფილია 5.071 კილოგრამი ფოთოლი, გადაჭარბებით შესრულდა ადგილეთ სახელმწიფოსათვის ხილის, ბრეშუმის პარკის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი. წარმატებით სრულდება სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

აჭარაში ბევრია მდიდარი კოლმეურნეობა, რომლებსაც უხვი მოსავალი მოჰყავთ. მაგრამ ამასთანავე არის, განსაკუთრებით კი მთის ზონაში, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ დახმარება გავუწიოთ ამ კოლმეურნეობებს, რათა ეკონომიურად განმტკიცდნენ.

ორატორმა ყურადღება მიაქცია საზოგადოებრივი წესიერების დარღვევის ფაქტებს, მოიყვანა ამორალური საქციელის მაგალითები, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ხილის დამზადების პერიოდში. ცალკეული უხალოსნო პირები გამორჩენის მიზნით ეწევიან სპეკულაციას, არცხუნენენ პატიოსან მშრომელებს.

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები, თქვა ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გ. შონიამ**, ამაყობენ ამით, რომ ვადაზე 3 წლით ადრე გაანაღდეს შვიდწლედის დავალება. ამ დიდ გამარჯვებაში არის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეთა შრომის წილიც, რომლებმაც მოკრიფეს 450 ტონამდე ჩაის ფოთოლი. უხვი მოსავალი მიღებულია თავდადებული შრომის, ჩაის მოვლა-დამუშავების პროგრესული ხერხების მასობრივი გამოყენების, პლანტაციების შეკრთათა შესანიშნავი გამოცდილებისა და ცოდნის გავრცელების შედეგად.

ჩაის მოსავალი დიდია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მიღწეული დონე ზღვარია. ჯერ კიდევ მოგვეპოვება დიდი რეზერვები. ბევრი რამ უნდა განვაზოგიეროთ მეჩაიეობის შემდგომი განვითარებისათვის კოლმეურნეობაში და ჩვენ შეგძლებთ ამას.

სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობაში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა, არც ერთი ჩამორჩენილი რგოლი. ყველა ასრულებს დავალებებს. ახლა კი ვფიქრობთ იმაზე, რომ კოლმეურნეობაში არ იყოს არც ერთი შრომისუნიარანი ადამიანი, რომელიც ვერ შეასრულებს პირად წლიურ დავალებას.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია იძულებული გახდნენ განეხორციელებინთ მკეთური ღონისძიებანი, ისეთიც კი, რომ სოფლიდან გაესახლებინათ უღირსი ადამიანები.

კოლმეურნეობას ჰყავს შუქურების მთელი არმია. კოლმეურნეობის აქტივი ასზე მეტ კაცს აერთიანებს, რომელთა დახმარებით გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია წარმატებით წყვეტენ დიდმნიშვნელოვან სამეურნეო ამოცანებს.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა განსაცვიფრებელ გარდაქმნებზე, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა სოფელში. იგი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, გზების გაყოლები ჩამწკრივებულია კოლმეურნეთა ლამაზი სახლები. ორტელის წევრები უფასოდ სარგებლობენ რადიოთი, წისქვილით, კინოშმასხურებით. კომუნიზმის ეს პირველი ყლორტები იმ სიმდიდრის შედეგია, რომელიც საზოგადოებრივ მეურნეობას მოეპოვება. ახლა ფოცხოში მთავრდება საავადმყოფოს კაპიტალური შენობის მშენებლობა.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **ნ. ხომიზურაშვილმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში. 1965 წლისათვის, თქვა მან, ვენახების ფართობმა ჩვენში უნდა მიაღწიოს 150 ათას ჰექტარს, ხეხილმა კი — 155 ათას ჰექტარს. ამ პასუხსაგები ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი.

ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ვაზის თავისუფალ სხვლას. ეს პროგრესული მეთოდი ზრდის ყურძნის მოსავლიანობას, მაგრამ ამ მეთოდს ზოგან იყენებენ ადგილობრივი პირობებისა და ვაზის ჯიშის გაუთვალისწინებლად. ვაზის თავისუფალი სხვლა უნდა შეესაბამებოდეს ვენახების მოვლა-დამუშავების მაღალ აგრონომიულ დონეს, მცენარის კვების რეჟიმის გაუმჯობესებას. შემდეგ ორატორი შეეხო ინსტიტუტის მუშაობას. ამ ილაპარაკა მეცნიერთა მიერ შემუშავებულ მთელ რიგ სიახლეებზე. ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავების სრულყოფილი ხერხების გამოსაცდელად შექმნილია ლაბორატორიები, საველეტაციო სახლი, ინსტიტუტის მიღწევათა გამოფენა. ყოველივე ეს ხელს უწყობს კოლეკტივის ნაყოფიერ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის მეყვანაში.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს მბარაძის რაიონის სოფელ ბახვის წარჩინებულ კოლმეურნეს **ნ. მამეშვილს.** აი, უკვე 32 წელიწადია— ორტელის შექმნის პირველი დღიდანვე— მამეშვილს იგი ძალიან დაუზოგავად, თანაც ისე, რომ ზოგჯერ ახალგაზრდებიც ვერ უტოლდებიან. რგოლი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მოწინავეა კოლმეურნეობაში. მიმდინარე წელს მან ფაბრიკას ჩაბარა 35 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 5 ტონით მეტი გეგმასთან შედარებით. მერგოლური გვიჩვენებს ნამდვილი შრომითი გმირობის მაგალითებს. თავის ნაკვეთზე მან მოკრიფა 5.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებდა 2.300 კილოგრამს და ნაკისრი ვალდებულება — 4.000 კილოგრამს.

— შრომა, — თქვა ამხ. მამეშვილმა,— საარსებო ჩვეულებად გადამექცა. როცა წავიკითხე ჩემი თანამოლაზი, უკრაინელი კოლმეურნის ნადექდა გრიგოლის ასულ ზაგლადას წერილი „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას“, გული სიხარულით ამევსო. ყველამ პატიოსნად უნდა ვიშრომოთ, უნდა ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც თავს აირდებს საზოგადოებრივ შრომას. დაუდევრობასა და სიზარმაცეს არავისთვის არაა საჭიროდ არ მოუტანია სიკეთე. დაუდევრობა საზოგადოებრივ მეურნეობაში ერთიორად, ერთისამად უფრო საზიანოა. იგი ზიანს აყენებს არა მარტო იმას, ვინც დაუდევრად იქცევა, არამედ სხვებსაც, ზოგჯერ დიდ კოლეკტივსაც. სინდისი და პატიოსნება, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება — აი ჩვენი მაღალი იდეალი.

მე მივწერე წერილი ნადექდა გრიგოლის ასულს და სტუმრად მოვიწვიე ბახვში: მოვილაპარაკებთ სულითა და გულით.

72 წლის კოლმეურნე ნ. მამეშვილმა გულმხურვალედ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მხოლოდ თავდადებული შრომა ყანებსა და პლანტაციებში, ფერმებში შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის მიღებას.

სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე,—აღნიშნა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის სოფლის კომიტეტის მდივანმა **ვ. ელეაშვილმა,** — დიდი ეფექტი მოაქვს მეურნეობათა გამსხვილებას. ამჟამად სამხრეთ ოსეთში 53 მსხვილი კოლმეურნეობაა. გამსხვილებულ მეურნეობებში უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება მებაღეობა და მევენახეობა, იქმნება საუკეთესო პირობები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მანევრირებისა და გამოყენებისათვის. მაგალითად, ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუთის ლენინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობა შეიქმნა 22 წვრილი კოლმეურნეობისაგან. იმის, რასაც 22 კოლმეურნეობის თავმჯდომარეები აკეთებდნენ, ახლა აკეთებს თავისი საქმის ენთუზიასტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იასონ ქრისტესიაშვილი. სოფელ ქსუთის კოლმეურნეობაში გაიმართა გაცხოველებული კრება. რომელზეც განიხილეს შესანიშნავი მშრომელის ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას სტატია „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას“. კოლმეურნეებმა გაბედულად გააკრიტიკეს ისინი, ვინც ანტისაზოგადოებრივ საქციელს სჩადის, უპატიოსნოდ ეკიდება საზოგადოებრივ დოვლათს. დაასახელეს ისინი, ვისაც დიდი საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ და ნორმაზე მეტი ჰყავთ პირუტყვი. ამ კრების შემდეგ კოლმეურნეობას დაუბრუნდა 244 ჰექტარი მიწა, რომლითაც მთელი რიგი წლების მანძილზე სარგებლობდნენ უპატიოსნო ადამიანები.

სოფლის მეურნეობის კონკრეტული ხელმძღვანელობის მიზნით, თქვა შემდეგ ორატორმა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროომ გამსვლელი სხდომები გამართა ზნაურის, ლენინგორის, ცხინვალის რაიონებში. ამ სხდომებს ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა. ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია და, რა თქმა უნდა, ეს ნაკლოვანებანი უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, გავხადოთ იგი კონკრეტული, მიზანსწრაფული. უნდა შევარჩიოთ ისეთი პროპაგანდისტები და აგიტატორები, რომლებსაც თავიანთი საქმიანობის მთავარ მიზნად მიაჩნიათ ის, რომ ადამიანს ჩაუნერგონ კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის საუკეთესო თვისებანი.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი **ბ. კუპავა.** იგი ამბობს:

საზოგადოებრივი მეურნეობის ტემპის შემდგომი სწრაფი ზრდა განუყოფლად დაკავშირებულია სოფლის მშრომელთა შრომითი აქტივობის გადიდებასთან. ეს აქტივობა განსაკუთრებით იგრძნობა სკკპ იქსტრაორდინარული XXII ყრილობის შემდეგ. მაგრამ არიან კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, უპატიოსნოდ ცხოვრობენ. სიღნაღის, გუდაუთის, ახალციხის, სამტრედიის, წყალტუბოს საწარმოო სამმართველოებში არ ჰყოფნით მუშახელი. ამავე დროს ამ რაიონების კოლმეურნეობებში არიან ადამიანები, რომელნიც ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაჰგლეჯონ საზოგადოებას, თავიანთი შრომა კი ნაკლები დახარჯონ. ამიტომ კოლმეურნეობები იძულებული არიან დაიქირაონ მუშები, რომელთა შრომის ასანაზღაურებლად შარშან დაიხარჯა დაახლოებით 7 მილიონი მანეთი. ჯერ კიდევ უყაირათოდ იყენებენ წარმოების რესურსებს, რაც აფერხებს კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდას, ამცირებს შრომადღის ანაზღაურების დონეს, ხელს უშლის იმ კოლმეურნეთა მატერიალური წახალისების განხორციელებას, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს შრომაში.

კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შეგნებულობის ამაღლება დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ანაზღაურებას, მატერიალური დაინტერესების ღონისძიებათა განხორციელებას. მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი არ ხორციელდება. მაგალითად, ქვეშხეთის, გეგეჭოს, სამტრედიისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში არ ხორციელდება მუშათა შრომის დამატებითი ანაზღაურება. კეთილსინდისიერი, პატიოსანი, თავდადებული შრომისათვის მუშებს არ აჯილდოებენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს დასახული აქვთ დიდი და პასუხსაგები ამოცანები. 1965 წლისათვის სახელმწიფოს უნდა მივცეთ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 350 ათასი ტონა ყურძენი, 250 ათასი ტონა ხილი, 70 ათასი ტონა ციტრუსები, 19 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული, 75 ათასი ტონა ხორცი, 280 ათასი ტონა რძე, 120 მილიონი ცალი კვერცხი, 5 ათასი ტონა მატყლი. ამ პროდუქტების დამზადებაში მთავარი როლი უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოებრივ მეურნეობებს.

სერიოზული ამოცანები აქვთ დასახული სოფლის მეურნეობის მშრომელებს მომდინარე წელსაც. წარმატებით რომ დამთავრონ შვიდწლედის მეოთხე წელი, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დროზე და უდანაკარგოდ უნდა აიღონ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ყურძნის, ციტრუსების მოსავალი. საქმის წარმატება მოითხოვს შრომის სწორ ორგანიზაციას, მთელი ძალებისა და სახსრების მობილიზაციას ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დაიწყეს ბრძოლა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. 20 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში დათესილია 154 ათასი ჰექტარი საშემოდგომო კულტურები, უნდა დაითესოს კიდევ 60 ათასი ჰექტარი, ზამთარი კი ახლოვდება. უნდა დაჩქარდეს თესლის კამპანიის ტემპი. ეს პირველ რიგში ეხება ახალციხის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებს, სადაც საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 68 პროცენტით, მაშინ როცა ამ სამმართველოსათვის დაწესებული თესვის დამთავრების ვადა უკვე ამოწურა.

ჯერჯერობით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არც ერთ საწარმოო სამმართველოს არ შეუსრულებია სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა. მარტო ახალციხის სამმართველოს მეურნეობებმა და შეახვევის რაიონმა შეასრულეს კვერცხის დამზადების წლიური გეგმა.

შემდეგ ამხ. კუპავა შეეხო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაიაფების საკითხებს, სხვა აქტუალურ თემებს. ასევე, თქვა მან, საკმარისი როდია მოგიყვანოთ უხვი მოსავალი, საჭიროა აგრეთვე შევამციროთ ცენტნერი პროდუქციის წარმოების თვითღირებულება. ჩვენს კადრებს უნდა ეასწავლოთ სწორად გაუძღვნენ მეურნეობას, რათა უზრუნველყონ როგორც უხვი მოსავალი, ისე იაფი პროდუქტებიც.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები საკმაოდ ვერ ფლობენ წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ეკონომიკის, შრომის ორგანიზაციის საქმეს. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს განზრახული აქვს ზამთარში მოაწყოს კურსები და სემინარები, რომლებზეც ხელახლა მოამზადებენ როგორც საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ისე აგრეთვე ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ეკონომისტებსა და სპეციალისტებს. ასეთი კურსები და სემინარები მოეწყობა თბილისში და საწარმოო სამმართველოებში.

დასასრულ ამხ. კუპავამ გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა 900 ათასიანი არმია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველი საშუალებით ეცდება ღირსეული წვლილი შეიტანოს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

ამჟამად, თქვა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. მწითფრმა,** როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ადამიანის— კომუნიზმის მშენებლის აღზრდას, სერიოზული საბრის შესანიშნავი საბაბია წარჩინებული უკრაინელი კოლმეურნის ნადეჟდა გრიგოლის-ასულ ზაგლადას სტატია „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას“. ამ სტატიას მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის, ყველა პატიოსანი მშრომელი. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს აჩვენებს ჩვენი სოფლების ათასობით პატიოსანი ადამიანი. მათ დაიმსახურეს თავიანთი ამხანაგების პატივისცემა. ასეთები არიან სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწველი ვ. სეთური, ამავე კოლმეურნეობის მწყემსები შ. ნაზღაიძე და ყ. გაგაძე, ბაზალეთელი მესიმინდე მ. ვარსიმაშვილი, ოძისელი ვ. ბეგენაშვილები გ. ილურიძე, შ. ყოჩიშვილი და სხვები. მაგრამ რაიონში არიან ადამიანები, რომლებიც უგულებელყოფენ საზოგადოებრივ შრომას, ეძებენ იოლი ცხოვრების გზებს.

რაიონში წარმოებს მუშაობა მასების პოლიტიკური აღზრდის გაძლიერებისათვის, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სიტყვას ამბობს საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზიანი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის,— თქვა მან,— კომუნისტის შენებლობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიაჩნია საბჭოთა ადამიანის აღზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდების აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით. თანამედროვე პირობებში ადმინისტრაციულ-მეურნეობრივ საფუძველად უდევს სკკპ ახალი პროგრამის ღრმა შესწავლა და ფართო განმარტება, თვითეული ახალგაზრდა ადამიანის შეიარაღება კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი გეგმით. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ახალ წარმატებებს აღწევენ საწარმოო და კულტურულ მშენებლობაში. ჩვენი ახალგაზრდობის თავდადებულ შრომაში ღირსეული წვლილი შეიტანეს კოლმეურნე ქალი ვ. ბეგენაშვილებსა და ჯაბუკებს. განვლილ სამეურნეო წელს დაახლოებით სამი ათასი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი იბრძოდა ჩაის, ყურძნის, ხილის, სიმინდის მოსავლის გადიღებისათვის, პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად დღეს კანონიერად ამაყობენ ახალგაზრდა მეჩაიეები, რომლებმაც მოკრიფეს 110 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეებს ახალგაზრდა მევენახეებიც როდი ჩამორჩენიან. კომკავშირულ ჰექტარებზე მიღებულია ყურძნის უხვი მოსავალი. 100-დან 170 ცენტნერამდე ყურძენი მოჰყავთ ჰექტარზე გურჯაანის, ყვარლის ახალგაზრდა მევენახეებს.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მუშაკთა შრომითი წარმატება მოპოვებულია ძირითადად იმის შედეგად, რომ გაუმჯობესდა კომკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობა, ამაღლდა ბრძოლისუნარიანობა. ახალგაზრდობაში ფართოდ ვრცელდება მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. თითქმის ყოველ რაიონში შეიქმნა მესიმინდეების, მეჩაიეების, მევენახეების სკოლები. ახალგაზრდობის შრომითს აქტივობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საწარმოო ტერიტორიულ სამმართველოებში შეიქმნა ახალგაზრდათა საბჭოები, ხოლო რაიკომებში — კომკავშირული შტაბები. დღითიდღე მცირდება იმ ახალგაზრდა ადამიანების რიცხვი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის მრავალ ახალგაზრდა მუშაკს აქვს საშუალო განათლება და მათი დიდი ნაწილი სწავლას განაგრძობს უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან ერთად ამხ. ჩერქეზიამ ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არის სოფლის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თქვა მან, სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას. ეს დაწესებულებები უნდა იყოს კულტურული მუშაობის ძირითადი ცენტრი. მაგრამ სოფლის კლუბებისა და კულტურის სახლების უმრავლესობა ჯერ კიდევ ცხოვრობს გუშინდელი დღით. ისინი არ ეძებენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, არ იზიდავენ აქტივს. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად.

რუსიბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი შესაძლებლობანი აქვს, თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **გ. დეკვდარიანმა.** მეურნეობას აქვს 4.346 ჰექტარი სარწყავი მიწები. აქ 540 ჰექტარი უკავია ბოსტნეულს, 2.000 ჰექტარი — სიმინდს, 1.000 ჰექტარი — თავთავიან კულტურებს, არის ვენახები, ხეხილის ბაღები. საბჭოთა მეურნეობას ჰყავს 800 ძროხა, ბევრი ღორი, ფრინველი. ჩვენ დასახული გვაქვს ამოცანა მივცეთ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული, რძე. მაგრამ მეურნეობის უმდიდრეს შესაძლებლობებსა და რეზერვებს დამაკმაყოფილებლად ვერ ვიყენებთო, თუმცა გასულ წელთან შედარებით არის წარმატება. 20 ოქტომბრისათვის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 26 ათასი ცენტნერი ბოსტნეული — 8.128 ცენტნერით მეტი, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში. წლის დამლევამდე ჩავაბარებთ კიდევ 12 ათას ცენტნერ ბოსტნეულს. ჩვენი კოლეტივი ყველა საშუალებას მიმართავს, რათა უფრო სწრაფად აიღოს მოსავალი, საფუძველი ჩაუყაროს მომავალი წლის უხვ მოსავალს.

მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა მეურნეობაში ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას ინიციატივით დაწყებულ მასობრივ მოძრაობას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების აღმავლობისათვის. ჩვენ, სამეურნეოთა სახელით, გვაცვს მექთახორები, ზარმაცები, რომლებსაც შეურიგებლად ვებრძვით.

გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების საქმიანობის შესახებ ილაპარაკა ამ სამმართველოს უფროსმა **ვ. დადიანმა.** სამმართველოს შემქმნის პირველი დღეებიდანვე მისი კოლეკტივის მთელი მუშაობა წარმოებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, იქ, სადაც უშუალოდ წყდება მოსავლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ბედი. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უშუალოდ მონაწილეობდნენ მინდვრებში, პლანტაციებში, ფერმებში შრომის მოწინავე მეთოდების დაფრგვის საქმეში, ეხმარებოდნენ კოლმეურნეობების გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების დირექციებს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, გადამწყვიტ უბნებზე ადამიანთა სწორ განაწილებაში.

ამასთან ერთად, აღნიშნავს ორატორი, მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სუსტი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ცალკეული კოლმეურნეები თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას, არის შემთხვევები, როცა ითვისებენ საკოლმეურნეო დოვლათს. ასეთ არასასურველ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დახმარება გაგვიწია სოციალისტური შრომის გმირის ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას სტატიამ. ამ სტატიის გამო იმსჯელეს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა. სოფლების ტირძნისის, ფლავის, მეჯვრისხევის კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებებზე გაკრიტიკეს ნაკლოვანებანი შრომაში, დასახეს მათი ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

სერიოზული ნაკლოვანებანი იყო კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობა სისტემატურად ვერ ასრულებდა მიწათმოქმედების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმებს, ბევრი კოლმეურნე არ ეწეოდა საზოგადოებრივ შრომას. სოფელში გაიმართა რაიკომის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს შექმნილი მდგომარეობა. კოლმეურნეობაში მუშაობის ჩაშლისათვის რაიკომმა ურჩია არტელის წევრთა საერთო კრებას სამუშაოდან გათავისუფლებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ხოროზვილი, მთელი რიგი მუქთახორები და ზარმაცები [illegible] ... ოთეფლეს. [illegible] ... ოთეფლეს. [illegible] ... ოთეფლეს.